№ 134

შაბათი, 25 ივნისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 134

შაბათი, 25 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ი ვ ე რ ი ა“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**„ივერიის“ რედაქციისაგან:**

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

საზაფხულო თეატრი
**«მიხეილის ბაღში»**
ორშაბათს, 27 ივნისს
სოფულის თეატრის სცენარიუსის ალ. თამაზიშვილის სასარგებლოდ ქართულის სცენის მოყვარეთაგან
წარმოდგენილი იქნება:
I
**ჰ ე ჰ ე**
კომ. 3 მოქ., თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცისა

II
**მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა**
ვოდევილი 1 მოქ.
მოთამაშენი: ქ-ნნი რჩეულოვისა, გურამიშვილისა, როტინოვასა, ბბ. ადამიძე, საფაროვი, თულაშვილი, სავანელი, თამაზიშვილი, ხომასურიძე, კარბელი, გოცირიძე და სხვანი.
ბაღი განათებული იქნება და დაუკრავს სამხედრო მუსიკა,
დასაწყისი 8½ საათზედ.

მიხეილის ქუჩაზედ, გიორგი ქართველიშვილის სახლში, № 24, პირველ ივლისიდგან **ქირით იძლევა** სარდაფი, სწორედ ის, სადაც ეხლა ახლან თუნიევი ვაჭრობს.

ფასის შეტყობა შეიძლება თითონ ქართველიშვილთან მიხეილის ქუჩა, სახლი. №-180. (3—1413—1).

## ტფილისი, 25 ივნისს

თბილისის სამივე გიმნაზიაში წლეულს პირველ მოწაფეებად დაასრულეს და ოქროს მედლით იქმნენ დაჯილდოებულნი ქართველები. აი ფაქტი, მოვლენა, რომელზედაც სჯიან არა მარტო ქართველ ოჯახებში, არამედ რუსთა და სომეხთა შორისაცა. სწორედ რომ საყურადღებო და საგულის ხმიერო საქმეა. წინადაც ხშირად სჭერიათ ქართველებს პირველი ადგილი რომელსამე გიმნაზიაში; მაგრამ ყველა გიმნაზიებში რომ ქართველებს სხვებისათვის ეჯობნოთ და გაესწროთ, ამას კარგი ხანია აღარ უსიამოვნებია ქართველი საზოგადოება. რათა კარგად შევიგნოთ მნიშვნელობა ამ შემთხვევისა საჭიროა გამოვიკვლიოდ ის უდიერი გარემოებანი, რომელნიც საშინლად ხელს უშლის ქართველ მოსწავლე ყმაწვილებსა.

თბილისის სასწავლებლები ინახებიან ესრედ წოდებულ ერობის ხარჯით (на земскія средства). რადგანაც თბილისის გუბერნიის მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველობა შეადგენს, ამის გამო სასწავლებლებიც, როგორც ყველა სხვა დაწესებულებანი, უმეტესად ქართული ერის ფულით ინახებიან. სამართალი რომ ქვეყანაზედ მეფობდეს, ქართველი მოწაფეებით სავსე უნდა იყოს ყველა სასწავლებლები და მათი რიცხვი ბევრად უნდა აღემატებოდეს ყველა სხვა ტომის მოწაფეთა რაოდენობას. მაგრამ, კარგა მოგეხსენებათ, რომ სამართალი დაბალ ღობედ არის გადაქცეული ჩვენს უკუღმართს დროში და მასზედ ზედ გადადის ყველა, ვისაც-კი ცოტაოდენი ძალა მოუპოვებია სხვა-და-სხვა ეშმაკური ხერხით. სწორედ ამ გვარი უკუღმართობის შედეგი გახლავთ ის გულჩამთუთქველი ფაქტი, რომ ქართველობა თბილისის სასწავლებლებში შეადგენს არა უმრავლესობას, არამედ მეხუთედსა და მეექვსედს. ხუთი წილი მოწაფეებისა ეკუთვნის ან მოხელეთა და ან ვაჭართა წოდებას, რომელნიც ერთი ათად მეტი შეძლებულნი არიან, ვიდრე ღარიბი ქართველი ერი, ხდება ისე, რომ ღარიბნი თავისი ფულით ზრდიან და განათლებას აძენინებენ მდიდართა შვილებსა, თვითონ-კი გონებრივად ხახამშრალნი, მშიერ-მწყურვალნი რჩებიან. დიახ, სამართალი ზკარაკივით დაკლულია და, ასე გასინჯეთ, ქრისტეფალიც-კი არსაიდგან უჩნდება. მაგრამ ამ სამტირალო მხარეს ჩვენის არსებობისას ახლა ნუ გამოვეკიდებით. ჩვენთვის ამ ჟამად საინტერესოა სხვა მხარეცა.

ბევრში, უმრავლესობაში რომ გამოერიოს იშვიათის ნიჭის პატრონი, ეს კიდევ როდი ამტკიცებს ნიჭიერობას ერისასა. გარნა თუ რომელიმე ერის შვილები შეადგენენ მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს მოწაფეებისასა და წარმატებაში-კი წინ უსწრებენ უმრავლესობასა, ეს უტყუარი საბუთია ერის ნიჭიერებისა. მეტადრე მაშინ, თუ უმცირესობას ხელს უშლის ყოველი გარემოება და უმრავლესობას-კი ხელს უმართავს, შველის. და რომ სწორედ ამ ნაირია საქმის მდგომარეობა, ეხლავ ამასაც დავინახავთ.

გიმნაზიებში მთავარი ადგილი უჭირავთ ძველს ენებსა და თვითონ სწავლება ყველა საგნებისა, როგორც ყველამ იცის, სწარმოებს რუსულს ენაზედა. ბევრს მოეხსენება, რომ ქართული ენა სრულიად თავისებური ფონეტიკური მოვლენაა და ენათა მეცნიერებაში უჭირავს ცალკე განყოფილება. იგი უფრო მეტად განსხვავდება ძველისა და ახალის ევროპიული ენებიდგან, ვიდრე, მაგალითად, სომხური. ამის გამო შეთვისება ძველის ენებისა და სწავლა რუსულს ენაზედ საგნებისა ბევრად უფრო ძნელია ქართველი ყმაწვილებისათვის, ვიდრე მაგალითად სომეხთათვის. ამას ზედ ერთვის ერთი გარემოებაც, ფრიად უდიერი. ქართველები სოფლად სცხოვრებენ, რუსულის ე ის ჭაჭანებაც არ ესმით სკოლის კარამდის, სწავლის დროს, სიღარიბის გამო მოკლებულნი არიან რიგიან ბინასა, საჭმელსასმელსა, ტანისამოსსა, წიგნებსა და სხვა კუთვნილებასა. ყველა ამას მო-

## ფელეტონი

### „უბედო“ ივანე

(ლეგენდა. თარგმანი)

ერთს სახელმწიფოში საწყალი კაცი ივანე იყო, რომელსაც მეტ სახელად „უბედო“ ივანეს ეძახდნენ. ეს ივანე ტყეში სცხოვრობდა. ხის კოვზებს, ჯამებს, ფილებს, სამარილეებს და სხვა სასოფლო ჭურჭელს აკეთებდა და ამით ირჩენდა თავს. ხოლო ამ საქმეს ძალიან პატარა შემოსავალი მოჰქონდა, ასე, რომ ივანე მუდმივ გაჭირვებაში იყო. ამასთანავე იმან განიზრახა შეერთო ცოლად თავის მეზობლის ტყის მცველის ქალი, რომელსაც მზითვად მხოლოდ ორი მარჯვე მკლავი და წყვილიც ვარსკვლავის მზგავსათ ბრწყინვალე თვალები მოჰყვა. პირველ წელიწადშივე ვაჟიშვილი მიეცათ, მერე რა ვაჟიშვილი?—ჯან-საღი და ტრიტინასავით მოძრავი. ამ გარემოებამ „უბედო“ ივანე მეტად დააფიქრა: მე ხომ არაფრის დატოვება არ შემიძლია შვილისათვის, მაშასადამე, ისეთი ნათლია უნდა მოვუძებნო, რომ ჩემ სიკვდილს შემდეგ ნამდვილ მშობელსავით უპატრონოსო.

გადასწყვიტა ეს ივანემ და ნათლიის საძებნელად გაემგზავრა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, არ ვიცით, მხოლოდ ერთს დღეს დაინახა თავისაკენ მომავალი წითელ-კაბიანი და ლურჯ-წამოსასხამიანი დედაკაცი, რომელსაც თავზე ვარდის ფერი გვირგვინი ედგა, ხელში ოქროს პატარა ჯოხი ეჭირა და მთლად ჰბრწყინავდა.

— გამარჯობა, კეთილო კაცო!— უთხრა ივანეს ქალმა. საით მიემგზავრები ასე ადრიანად?

— შვილისათვის ნათლიას დავეძებ, ჩემო ხელმწიფევ.

— რაღა შორს მიდიხარ, მე აქ არა ვარ? დიდის სიხარულით...

— გმადლობ, ჩემო მეფევ... უნდა მოგახსენო, მე ისეთი ნათლია მინდა, რომ სამართლიანი იყოს.

— უფრო კარგი... მე გამოგყვები, გარწმუნებ არ ინანებ... მე სასწაულმომქმედი ფერია ვარ და ეს ტყე ჩემი სამეფოა.

— ჰოჰო!.. მაშ შენა ბძანდები სასწაულ-მომქმედი? არა, დედავ და თვალო, ჩვენი საქმე ვერ მოხერხდება!

— რატომ? წყენით ჰკითხა ფერიამ.

— აი რატომ! განა შენ არ იყავი, რომ პატივსა გცემდით და გადიდებდით?! ყველასათვის, უმცროსიდგან მოკიდებული უფროსამდე, სათაყვანებელი იყავი! ყოველს გაზაფხულზედ ჩვენი ქალიშვილები შენს მდვიმე-მაღაროებს ია ვარდითა და სხვა ყვავილებით ამკობდნენ... ჩვენი უუდიდესი ძნა შენდა შესაწირად იყო დანიშნული, შენდა სადიდებლად ივსებოდა პირველი თასი თაფლით. იმედი არ გვაკლდებოდა და გავიძახოდით: აი დღეს იგრძნობს ჩვენს თაყვანისცემას და შეცოდებას გვაპატიებსო, მაგრამ სად იყო ეს შეწყნარება, პატიება?! მაგიერს რითი გვიხდიდი? ყოველთვის მარცხენა ფეხზედ ადგებოდი ხოლმე და დღითი დღე გვმუსრავდი: ვისაც სიმშრალე უნდოდა, შენ ავდარს უგზავნიდი; ვინც ნამით დასხურებას ჰსაჭიროებდა, პაპანაქებით ჰხრუკავდი! საცოდავი კაცი წელებზედ ფეხს იდგამდა, იღვწოდა, მაგრამ ეს ბაიბურშიაც არ მოგდიოდა, ყურს არ იბერტყავდი!... მუქთა-მჭამლებისათვის-კი კეთილი, ალერსიანი ხარ. არა, ჩემო ხელმწიფევ, შენ ჩემს შვილს ნათლიაობას ვერ გაუწევ!.. მშვიდობით.

და „უბედო“ ივანემ გზა განაგრძო. იარა, ბევრი იარა და ერთ მინდორზედ გავიდა, რომელიც მთლად ზამბახით იყო მოფენილი. მინდორში ერთს ქალს შეხვდა. ეს ქალი მაისის დილასავით მშვენიერი იყო, მდელოსფერ-მომწვანო საცმელი ემოსა და კალთა ყვავილებით სავსე ჰქონდა.

— საით მიეშურები მეგობარო?— გამოელაპარაკა ის ქალი ივანეს.

— შვილისათვის ნათლიას ვეძებ.

— მე წამოგყვები, უთხრა კეთილის კილოთი ქალმა. მე დიდის სიხარულით...

— გმადლობ, მერე შენ ვინა ხარ ჩემო მშვენიერო? მე სამართლიანი ნათლია მინდა.

— მე ვარ ვენერა—სილამაზის მეფა. მე ისა ვარ, რომელიც ხალხს სილამაზეს ურიგებს. ჩემისავე მეოხებით თქვენ გენიჭებათ ისეთი რამ, რაც ქვეყანაზედ შეუდარებელია—სიყვარული!..

— არა, ჩემო მტრედო! ჩემთვის შენ არ ვარგიხარ.—უპასუხა თავის გაქნევით „უბედო“ ივანემ.

— ბრიყვო, უხეშო! შეჰკივლა გაჯავრებით ვენერამ. ვითომ რატომ?

— რატომ? უსამართლო ხარ და იმიტომ! ლამაზს შესახედაობას შენ ისეთს ხალხს აძლევ, რომელთაც სული და გული ღამის უკუნსავით შავბნელი აქვთ! კარგ კაცს-კი ქვეყანაზედ მახინჯად ჰბადავ! რაც შეეხება სიყვარულს, აქ უფრო წ...ლმა უკუღმა იქცევი. უგზო-უკვლოდ, უსაგნოდ ჰფანტავ, ყველაფერში სიბრმავე გეტყობა. შენის ვამოისობით ვერც ერთ ოჯახში ვერა ჰნახავს კაცი რიგიანობას; ქმარი ალთას მიიწევს და ცოლი ბალთას! მშვიდობით, ჩემო ლამაზო! გზა დამილოცნია.

— ოხ, რა უზრდელი ხარ, შე უბედურო!.—მიაძახა ვენერამ მხრების აწევით მიმავალს ივანეს.

— მართლა რომ „უბედური“ ვარ, სთქვა ივანემ თავ-ჩაქინდვრით. იღბალი არა მაქვს!..

ამ სიტყვების დათავებისათანავე ივანე ერთს დიდს ქალაქში შევიდა. სიზმარშიაც არ მოჰზმანებია ივანეს ასეთი სიდიდე და მშვენიერება. განიერი ქუჩები, უთვალავი მაღაზიები, რომლების ფანჯარა-კარები დიდ სარკეებად ეჩვენებოდა კაცის თვალს. მერე რა გინდა სულო და გულო, რომ ამ ფანჯრებში არა ყოფილიყო გამოფენილი? უშველებელი სასახლეები, ოქროს გუმბათიანი ეკკლესიები და ჩეროიანი ბაღები. ყველგან დიდი მოძრაობა იყო ხალხისა. ერთნი მიობოდნენ, ფაცი-ფუცობდნენ, ყველაფერში სიჩქარე ეტყობოდა, მეორენი-კი მედიდურად გაშოტილიყვნენ ეტლებში და უზრუნველად ადევნებდნენ თვალს საწყალის ხალხის ფეხით თრევას.

უეცრად ყველაფერი გაჩუმდა, საშინელი მყუდროება ჩამოვარდა. მოედანზედ გამოჩნდა თოვლსავით თეთრბედაურებ შებმული ეტლი. წინ, გვერდებთან და უკან ამ ეტლს მებუკე-მენაღარენი მოსდევდნენ. ეტლში იდგა მშვენიერი დედაკაცი, ბრწყინვალე ფარჩის სამოსლით შემკული, რომელსაც ალაგ-ალაგ შებმული ჰქონდა ოქროს და ვერცხლის ზარები. დაფნის გვირგვინი ამშვენებდა ამ ქალის ამაყად მოღერებულს ოქროს დალალებიანს თავს; ალისფერს ტუჩებზედ კმაყოფილების ღიმილი უკრთოდა. ხელები ქალს წინ ჰქონდა გამოწვდილი და ხალხს, რომელიც გარს ეხვეოდა იმის ეტლს, დაფნის გვირგვინებსა და ტოტებს აბნევდა. ხალხში დიდი ბრძოლა და

შორებულნი არიან არა მარტო რუსნი, არამედ სომეხნიცა. ეს უკანასკნელნი სცხოვრობენ ქალაქებში, რუსულს ენას შვილებს ოჯახშივე ასწავლიან, სწავლის დროს არასფერს არ აკლებენ და რეპეტიტორებიც-კი ხშირადა ჰყავთ დაქირავებულნი.

ამ სახით, ბრძოლა სწავლის ასპარეზზედ ძლიერ უთანასწოროა, ერთი მხარე, უმრავლესობა, შეიარაღებულია კარგად, მეორე-კი თითქმის უიარაღოთ არის დარჩენილი და მაინც ეს უიარაღო უმცირესობა სჯობნის ხანდახან მაინც შეიარაღებულს და მდიდარს უმრავლესობასა წარმატებაში. განა ეს ფრიად საგულისხმო არ არის?

ზოგიერთა ვაჟბატონებს-კი რომ ჰკითხოთ, ქართველები იმდენად უნიჭონი არიან, რომ ერს ვერ შეადგინენ და მხოლოდ თემების კრებას წარმოადგენენო.

მერე რითი ასაბუთებენ ამ თავისს აზრსა? ქართველებმა ათასის წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს ერთის სახელმწიფოს შედგენაო. განა ეს საბუთი ჩირადა ღირს! ძველნი ბერძენნი ითვლებოდნენ და ითვლებიან სამაგალითო, უნიჭიერესს ერად; მაგრამ თუმცა საბერძნეთი პატარა ქვეყანა იყო, მაინც ერთი სახელმწიფო ვერ შეადგინეს ბერძნებმა. ათინა ცალკე სცხოვრობდა პოლიტიკურად, სპარტა ცალკე, თესალონიკე ცალკე, ეპირი ცალკე და სხვანი. ხშირად ერთმანეთში ჰქონდათ ომი და მხოლოდ გარეშე მტრებს ებრძოდნენ შეერთებულის ძალით; თუმცა ამისთანა დროსაც-კი ჰღალატობდნენ ხანდახან ერთმანეთს. მიუხედველად ამისა, ბერძენნი წარმოადგენდნენ ერთს დიდებულს ერსა. რადა? იმიტომ, რომ ერთის ჩამომავლობისანი იყვნენ, ერთს ენაზედ ლაპარაკობდნენ, ერთი ლიტერატურა ჰქონდათ, ერთი ჰომიროსი ჰყავდათ, ერთი კულტურა შეჰქმნეს და ერთს სარწმუნოებას აღიარებდნენ. ქართველები არიან თუ არა ამავე თვისებისა? ოლონდაც. ჰყავთ ყველა ქართველებს, იმერელს და ამერებს, ერთი მამათმთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთს ენას ხმარობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს, ყველას ეროვნულ გენიოსად და ნიჭიერად მიაჩნიათ რუსთველი, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი, ერთის სარწმუნოების მიმდევარნი არიან. ყველა ამას ემატება ერთი ისტორიული მოვლენაც, რომელსაც ბერძნების წარსულში ვერა ვხედავთ: ათასის წლის განმავლობაში საქართველო ერთს შეერთებულს სახელმწიფოს წარმოადგენდა ფარნაოზიდგან დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე, რის გამოც ყველა შესანიშნავნი მეფენი ამ ხანგრძლივ დროისა, როგორც ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ყველა ქართველებს, შავი ზღვიდგან მოკიდებული დაღესტნის მთებამდე, მიაჩნიათ ნაციონალურ გმირებად.

თუ საქართველოს გერმანიას შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ გერმანია ჩვენ დღემდის დანაწილებული იყო დიდის ხნის განმავლობაში ცალკე სახელმწიფოებად, სარწმუნოებითაც ორ ნაწილად არის გაყოფილი და ენითაც ძლიერ განირჩევა სამხრეთის გერმანია ჩრდილოეთისაგანა. მაგრამ გერმანელნი-კი ყველას მიაჩნდა და მიაჩნია ერად და არა თემების კრებულად. მით უმეტესად ღირსია ამ წოდებისა საქართველო, ბევრად უფრო გაერთებული ენითაც, სარწმუნოებითაც და დიდის ხნის პოლიტიკურის საერთო ცხოვრებითაც.

ამერებს თავის ქალა განიერი აქვთ და იმერებს წოწლოკინა, მაღალიო, მაშასადამე ფიზიკური ტიპი ერთი არ არის და ერთს ერად ვერ იცნობენო“, ამბობენ ხსენებული ვაჟბატონები. მაგრამ ისინი ივიწყებენ, ვგონებთ, განზრახ, რომ ამისთანავე ფიზიკურს განსხვავებას იპოვნით, თუ შეადარებთ აღმოსავლეთის და დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მცხოვრებთ რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში და სადაც გნებავთ. ეს განსხვავება ტიპისა იმისაგან წარმოსდგება, რომ ყოველი ერი ერევა მოსამზღვრე ხალხში ქორწინებით და აგებულობა და სახიერება ეცვლება. ხოლო ეს ცვლილება ნაციონალურის ტიპისა, სრულიადაც არ არღვევს ერთობას ერისასა, თუ ეს ერთობა დამყარებულია იმ საერთო საუნჯეებზედ, რომელნიც ჩვენ ზევით ჩამოვთვალეთ.

ეს ელემენტალური ჭეშმარიტებაა და იგი კარგად ახსოვთ, როცა სხვა ერზედ სჯიან, მხოლოდ ჩვენ შესახებ ივიწყებენ მას და ჯიუტურად გაიძახიან, რომ ქართველები წარმოადგენენ არა ერსა, არამედ თემთა გროვასაო. ბოლოს დროს ეს აზრი გაჰყავთ სასწავლებლებშიაც, სადაც ხშირად ამ ნაირად ჰყოფენ მოწაფეებსა: რუსები, სომხები, ქართველები, იმერლები, გურულები, რაჭველები, მეგრელები და სხვები. რომ უფრო უკეთ ვიგრძნოთ უსაფუძვლობა და უსამართლობა ამ საქციელისა, ერთს წამს შევჩერდეთ სომხებზედა: ისინი მოკლებულნი არიან შეერთებულს ტერიტორიასა, მიწა-წყალსა, რომელიც ჩვენ დღემდის შევირჩინეთ. მეთოთხმეტე საუკუნიდგან დაჰკარგეს პოლიტიკური არსებობა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით ამ საუკუნის დასაწყისამდის, ეკუთვნიან არა ერთს სახელმწიფოსა, როგორც ჩვენა, არამედ სამსა და ოთხსა, ენით ისე განსხვავდებიან, რომ ერთი ლიტერატურის მაგივრად სამი ლიტერატურა აქვთ და მაინც ერად იხსენიებიან ყველა სამოსწავლო მთავრობისაგან. ჩვენ, რომელთაც ერთიორად მეტი საბუთი გვაქვს ვატაროდ სახელი ერისა, რომლითაც გვიხსენიებდნენ და გვიხსენიებენ ყოველნი ისტორიკოსნი, გეოგრაფნი, მოგზაურნი, გვართმევენ ამ სახელსა და ველურ თემების სიმდაბლეზედ ჩამოვჰყევართ. რა დავაშავეთ, ვის რა.... მოვპარეთ?

ამ ჩვენს გათახსირებას ხშირად იმისთანა ადგილს და სფერაში შევხვდებით, სადაც მას სრულიად არ მოველოდით. აი ამისი უახლესი მაგალითი. ერთს ფრიად შესანიშნავს დოკუმენტში ვკითხულობთ: „მცხოვრებთა შედგენილობით საქართველოს საექსარხოსო წარმოადგენს უკიდურესს სხვა-და-სხვა ფეროვნებას; მისს ვეებერთელა ტერიტორიაზედ მოსახლობენ ყოველ გვარნი ერნი, თემნი და ხალხნა, სახელდობრ: რუსნი, პოლონელნი, გერმანელნი, ბერძნები, სხვა-და-სხვა ქართველი და მთიელი თემები (разныя грузинскія и горскія племена), სომხები, ებრაელნი, ოსმალონი, თათრები და მრავალნი სხვანი. ქართველი ერი, სრულიად ისტორიული, რომელმაც მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა, მაცხოვრის თაყვანის ცემა გაავრცელა მთელს კავკასიაში, აუარებელს მტერს გასცა პასუხი, შექმნა მდიდარი ათას წლიანი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმაღლემდე ავიდა, იხსენიება არა ერად, არა ხალხად, არამედ თემად მაჰმადიან ჩაჩნების და ინგუშების ტოლად, რომელთაც არც ანბანი აქვთ, არც მწიგნობრობა, არც ისტორია, არც კულტურა და სრულიად ველურს, მხეცურს მდგომარეობაში იმყოფებიან.

დიახ, ჩვენ დაბრიყვებას და გათახსირებას საზღვარი არ უჩანს. მაგრამ ახია ჩვენზედა: როდესაც ჩვენ თვითონ მთავარ საქმედ გავიხადეთ ერთმანეთის ტალახში სვრა და ჭამა, რად უნდა გვიკვირდეს, როცა სხვებსაც გაუძლიერდათ მადა ჩვენის გათახსირებისა?

ი. სიმ—ძე

# დეპეშა

23 ივნისს

**პეტერბურგი.** 19-იდგან 21 ივნისამდე პეტერბურგის სამკურნალოებში 15 ხოლერიანი კაცი მოიყვანეს და 6 ქალი.

**სოფია.** ამომრჩეველთა კრების შემდეგ აქ ხალხმა მანიფესტაცია მოახდინა, მივიდა სტოილოვსა და რადოსლავოვთან და თავისი თანაგრძნობა ხმა მაღლა გამოუცხადა. შემდეგ იგივე ხალხი წავიდა სტამბულოვთან, რომელსაც ბევრი უსტვინეს. ხოლო გაზეთის „Свободное Слово“ რედაქციის წინ ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს მთავარს! ძირს სტამბულოვიო!“

# ახალი ამბავი

*** ამ დღეებში თელავის საზოგადოებამ თხოვნა მიართვა ტფილისის გუბერნატორს, რომ ნება დართოს თელავის ვაჭარს მიღდისოვს თელავსა და ტფილისს შუა ხალხის მატარებელი ეტლები ამუშაოს, რადგან ვაჭარი მამულოვი და ამხ; რომელსაც ეხლა აქვს გამართული ეტლები, რა კი მოცილე არა ჰყავს, ძალიან დიდ ფასს ართმევს ამ გზით მოსიარულე ხალხსაო. სასურველია, რომ ეს საქმე მართლაც განხორციელებულ იქმნას, რადგან მართლაც

---

თავის ტეხვა იყო; ერთი-ერთმანეთს აწვებოდნენ, ჰსრესდნენ და ცხენებს ფეხ-ქვეშ უვარდებოდნენ. წაქცეულ უძლურზედ მხოლოდ ის ასწრობდა გადასვლას, რომელიც უფრო მარდი იყო, გაშმაგებით სწვდებოდა ჰაერშივე ეტლიდგან გადმოვარდნილს დაფნის რტოს და, გამარჯვებით კმაყოფილი, თავისის მოძმეების ტანჯვა-წვალებას არაფრად აგდებდა. მაგრამ იმის გამარჯვებაც ხანგრძლივი არ იყო. აგერ მეორემ იმაზედ უფრო ღონიერმა და სწრაფმა, დაჩრდილა იგი, წინ გაუსწრო, შეხტა და ჰაერშივე ხელი გაავლო დაფნის გვირგვინს. და—ასე, ამ რიგად ერთს მეორე სცვლიდა, ერთის წაქცეულის ადგილს მეორე იჭერდა და გრძნეული ეტლი-კი მძიმედ მისცურავდა ხალხის გროვაში, რომელიც ადრე თუ გვიან მისი მსხვერპლი უნდა შექმნილიყო.

უეცრად ეტლში მდგარმა დედაკაცმა თვალები მიაპყრო ივანეს, რომელიც განაბულიყო ერთ ხის ძირას და სულის ამოთქმა გასჭირებოდა. ქალმა შეაჩერა ცხენები და ჰკითხა:

— ვინა ხარ?

— მე,. ნუ შემრისხავ მოწყალეო ხელმწიფევ, „უბედო“ ივანე გახლავარ.

— რად იმალები? ყველანი ჩემკენ მოილტვიან და შენ-კი მერიდები?

— მეშინიან შენი... უთხრა გაუბედავად ივანემ.

— გეშინიან? მაშ რამ მოგიყვანი აქ?

— ისე... უცაბედად... დავდივარ, შვილისათვის ნათლიას დავეძებ.

ქალი ამ სიტყვების გამო ერთს წუთს დაფიქრდა და მერე წარმოსთქვა:

— მე არ მიკისრებ ნათლიად?

— მერე შენ ვინა ხარ?

— დიდება ვარ.

— მე სამართლიანი ნათლია მინდა.

— განა მე სამართლიანი არავ არ?

ივანემ „არა“-ს ნიშნად თავი გაიქნია.

— საიდგან? რაში გეტყობა? სთქვა იმან ამოოხვრით. აბა ერთი შეხედე, შენს გამო რა აუარებელი ხალხი იღუპება. შენ-კი მიდიხარ და კმაყოფილად იღიმები. თითოეული მათგანი ჰფიქრობს „ეს ღიმილი მე მეკუთვნის“-ო—მაგრამ ჰსცდება. შენ მხოლოდ შენსკენ იზიდავ ამ უბედურებს, სტკბები, რომ თაყვანსა გცემენ და ის-კი არ გესმის, თუ ამ ეტლის ქვეშ კაცების ძვლებს ჭახა-ჭუხი გააქვთ!

— ბარბაროსო! დაუბრუნდი შენს ტყეს! ამაყად წარმოსთქვა ამ მომხიბლავმა არსებამ, მერე ცხენებს მათრახი მოუქნია და ნიავსავით გაქანდა.

ივანემ გზა განაგრძო და მალე ერთ მოედანს მიადგა, რომელზედაც დამნაშავეებსა სჯიდნენ. აქ ივანემ შენიშნა ერთი მოხუცი, სათვალეებიანი დედაკაცი. ეს დედაკაცი მძიმედ და მედიდურად მოაბიჯებდა, ცალს ხელში სასწორი ეჭირა და მეორეში-კი სპილოს ძვლის პატარა ჯოხი. მოხუცებულმა სათვალეებ ზევიდგან გადაჰხედა ივანეს და მკაცრად ჰკითხა:

— ეჰეი, მეგობარო, საით მიეჩქარები?

— ჩემის ბალღისათვის ნათლიას დავეძებ.

— ნათლიას? მაშ, გამიგონე, მე შენ მომწონხარ და ამისათვის თანახმა ვარ შვილი მოგინათლო.

— პატივის-ცემისათვის გმადლობ— უპასუხა ფრთხილად ივანემ. მხოლოდ ეს მიბძანე, ვინა ბძანდები? მე სამართლიანს ნათლიას დავეძებ.

— კარგი და პატიოსანი!.. მე ხომ მართლ-მსაჯულება ვარ!

— მართლ-მსაჯულება! ელდა-ნაკრავსავით დაიძახა ივანემ, ღმერთო მიხსენ! მაშ ეს შენა ხარ, სასამართლოებში რომ საქმეებსა სჭრი ჰ სწყვეტავ?

— ჰო, მე!..

— არა მე და შენ ვერ მოვრიგდებით! მეტის-მეტი მკაცრი ხარ! და თუმცა სათვალეებსაც ატერებ, მაგრამ მაინც რიგიანად ვერ ჰხედავ. არა ერთხელ და ორჯელ დაგისჯია უდანაშაულო კაცი და ნამდვილი დამნაშავე-კი გაგინთავისუფლებია!.. ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ დანაშაულისათვის-კი არა სჯი კაცს, არამედ იმიტომ, რომ ის კაცი ვერ ეწყობა შენს ხასიათსა და წესებს!.. არა, არ მინდიხარ!

— უსირცხვილო! შენ შეურაცხჰყავ მართლ-მსაჯულება! დამაცადე, მე გაგისწორდები!..

მაგრამ „უბედო“ ივანეს ტყუილად-კი არ უქებდნენ ფეხების სიმარდეს. ერთი ისეთი დაიძრა, რომ უკან აღარც-კი მოუხედნია და, როცა ამოსასუნთქებლად გაჩერდა, ნახა, რომ სასაფლაოზედ მისულიყო.

აქ ივანეს წინ გამოცხადდა თეთრს სუდარაში გახვეული და მხარზე ცელგადებული დედაკაცი, რომელსაც სუდარა მთელს სახეს უმალავდა და სიარულის დროს იმის ტანის ასოების მოძრაობას ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს სახლის სახურავს სეტყვა ეცემაო.

— საითკენ მირბიხარ, ძმაო? მიაძახა იმ დედიკაცმა ივანეს.

— შვილისათვის ნათლიას დავეძებ.

— მე წამოგყვები.

— ჩემთვის სამართლიანი ნათლიაა საჭირო.

— ჩემზედ სამართლიანს ვერ იშოვნი.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, ყველა მაგრე ამბობს, მაგრამ... მაინც ვინა ბძანდები?

— მე? სიკვდილი.

ივანე შეჩერდა, ერთ ხანს დაფიქრებული იდგა და ბოლოს წარმოსთქვა:

— სწორედ ამბობ. მართლა, რომ სამართლიანი ხარ. შენთვის ყველა თანასწორია: ახალგაზდა და მოხუცი, მდიდარი და ღარიბი; აზნაური და მოვაჭრე, თავადი და გლეხი!.. დაჰკრავს აღსასრულის წამი და ყველას მიერეკები. არავის წივილ-კივილის, ცრემლისა და ხვეწნის განხილვაში არ შედიხარ. დაპირებით ვერავინ მოგხიბლავს, ოქროთი თუ ვერცხლით ვერავინ მოგისყიდის, შენ თავის დროზედ ყველას ურახუნებ კარებს და, როდესაც იტყვი: „წამოდი“-ო, მეტი ღონე არ არის, უნდა წამოგყვეს!.. დიაღ, სამართლიანი ხარ, სანდობი და, მაშასადამე, ჩემის შვილის ნათლიადაც შენ ამირჩევიხარ?..

აქ ივანემ გაუყარა სიკვდილს მკლავი-მკლავში, წაიყვანა თავისის სახლისკენ და სიკვდილმა მოჰნათლა ივანეს შვილი. სანათლობოდ ნათლიმამამ დიდი მეჯლისი გამართა, ასე რომ მამლის ყივილამდე იმის პაწია ქოხში ლხინი არ შეწყვეტილა. როდესაც განშორების დრო მოახლოვდა, სიკვდილმა უთხრა ივანეს:

— კეთილი კაცი ხარ, ჩემო სვინავ, მხოლოდ ამ ოხერს სიღარიბეს დაუძაბუნებიხარ! მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს. რადგანაც შენ მე მერწმუნე და პატივი მეც, მეც მინდა სამაგიერო გადაგიხადო, შველა გაგიწიო, ისეთს ხელობას გასწავლი, რომ გაგამდიდრებს.

— რა ხელობას? გაკვირვებით ჰკითხა ივანემ.

— ექიმობას.

— ექიმობას?! მერე და... მე ხომ სულ არა ვიცი რა...

— ეგ არაფერია... შენ მხოლოდ ყური მომიგდე. როდესაც ავადმყოფთან მიგიწვევენ უპირველესად იმას

ხუთისა და ექვსის მანეთის გარდახდევინება მგზავრებისაგან სწორედ დიდი ფულია ასის ვერსის მანძილისათვის. ხოლო იმასთან ისიც არის სასურველი, რომ მილდისოვმა ეხლავე აღნიშნოს ფასი, რა ფასსაც დაჰნიშნავს, და შემდეგ ამ ფასის მომატება აღარ შეეძლოს.

⁂ «Т. Л.“-ის სიტყვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს შუამდგომლობა დაიწყოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ შემოღებული იქმნას, მომავალის 1895 წლიდგან, 40 ხალხის მატარებელი ვაგონი IV კლასისა ულარიბეს წამსვლელ-წამომსვლელთათვისაო.

⁂ სტამბოლიდგან 16 ივნისს, დეპეშით აცნობებენ რუსეთის სატახტო ქალაქების გაზეთებს, რომ სულთანმა გადასწყვიტა შეიწყნაროს სომეხთა პატრიარქის აშიკიანის არზა სამსახურიდგან გადადგომის შესახებაო“.

⁂ ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ კიევის გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელნი აპირებენ ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლას და აქაურობის დათვალიერებას. ეს მოწაფენი და მასწავლებელნი, ამ დღეებში ჩამოვლენ ტფილისში. კავკასიის რკინის გზის გამგეობას უკვე მოუვიდა ბრძანება, რომ საკუთრად იმათთვის იყოს მომზადული ორი ვაგონი და უფასოდ ჩაიყვანონ ტფილისამდე.

⁂ ჩვენ მოგვივიდა „დავითიანი“, თქმული დავით გურამიშვილის მიერ, მესამედ დაბეჭდილი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან. პირველად დავითიანი დაიბეჭდა 1871 წელს ბ-ნ ნ. ბერძენიშვილისა, პ. უმიკაშვილისა და გ. წერეთლის მიერ. იმ პირველ „დავითიანს“ ჰქონდა ზედ დართული ვრცელი წინასიტყვაობა, დაწერილი გ. წერეთლისაგან. მეორედ უფრო სრულად დაჰბეჭდა დავითიანი ბ-ნა პეტრე უმიკაშვილმა ბ-ნ გიორგი ზალიკალინის ხარჯით და წინ თავისი ვრცელი წინასიტყვაობა წაუმძღვარა. როგორც პირველად, ისე მეორედ პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით იყო დაბეჭდილი ტექსტი დავითიანისა. ახლა მესამედ იბეჭდება მაშ ეს წიგნი ამ 23 წლის განმავლობაში. ეს მესამედ დაბეჭდილი თითქმის უცვლელად გადმოუბეჭდია ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს პ. უმიკაშვილის მეორედ დაბეჭდილის დავითიანიდამ და ჩაურთავს შიგ, როგორც პირველი წინასიტყვაობა გ. წერეთლისა, ისე მეორე, დაწერილი პ. უმიკაშვილის მიერ. წინასიტყვაობათა გარდა, წიგნის ტექსტში 300 კაბადონია საკმაოდ დიდის ტანისა. პირველი წინასიტყვაობა 29 გვერდია, ხოლო მეორე 25. ფასი წიგნისა, რომელიც ურიგო ქაღალდზედ არ არის დასტამბული, ერთი მანეთია.

## დამაკვირდი

იცხოვრე სხვისათვის, თუ გინდა, რომ სხვანიც შენთვის სცხოვრობდნენ.

ბუასტი

**

ბრძენი არასოდეს იკითხავს, ქვეყანა ჩემს შესახებ რა აზრისაა, რადგან, თავისი ღირსება და ფასი თითონაც კარგად იცის.

სეუმი

**

ძნელია ყველას შველა და დახმარებაო, ამბობს არა-მოწყალე გულის კაცი და არავის ჰშველის

მარია ებნერ ეშენბახი

## ნაწყვეტები

მოდი, მომღვარო, სადა ხარ,
გადაგვერეცხა მართნი,
გვათხარ და გვითხარ სიტყვები
გულისა გასაგმირონი,
ეგებ მორჯულდეს ქვეყანა,
იწამოს უსაწირონი,
აღარ სდებოდნენ ბეჩავნი
მგელ-კაცთა სანადირონი.

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

**დ. ჩხარი, 20 ივნისი.** ჩვენს დაბაში ზნეობრივად ვაჭარი ხალხი დიდად დაცემულია. რა სისაძაგლეს სულისას დაასახელებთ იმისთანას, რომელსაც ჩხარელი მედუქნე არ ჰჩადიოდეს... აგერ ერთის დუქნის წინ ჰზის ჯგუფად რამდენიმე მედუქნე და ბანქოს თამაშობენ; მაგრამ აი ერთმა მებანქოემ რაღაც სიყალბე იხმარა თამაშობაში და ჩხუბი ასტეხა: მოისმის ერთი უშველებელი ყვირილი, ათას უზრდელ სიტყვების რახ-რუხი და ცემა-ტყეპა... აგერ შუა ბაზარში ქუჩაზედ რამდენიმე ბაზრის ბიჭი შემოსხდომიან გარშემო სტოლს, რომელზედაც ჩამწკრიებულია ღვინით სავსე ბოთლები, მოუდგამთ გვერდით „არღანი“, უკრავენ, სმენ ღვინოს და მღერიან უშვერ სიტყვებით სავსე სიმღერებს; მაგრამ აი შეზარხოშებულს მოქეიფეებს აუტყდათ აყალმაყალი, მოისმის ბოთლებისა და ჭიქების ჩახაჩუხი, სილის ტკაცანი და უწმაწური ლანძღვა-გინება... აგერ დამსხდარან ერთად ხუთიოდე მედუქნე, ოხუჯობენ ერთმანეთთან ისვრიან, საძაგელს სიტყვებს და გააქვთ კიჟინა... აგერ ბაზარში ცხენოსანი ებრაელი შემოვიდა და უცებ აქეთ-იქიდგან ბავშვებმა, უფროსების შეგულიანებით და იმათის მონაწილეობით, საშინელი კივილი აუტეხეს: ურია, უუ! ურიააა! ელო, ელო, შე ყურგძელო! და სხვ. საბრალო ებრაელი ყურებამდე წითლდება, სირცხვილისაგან კანში იწვის და უგემურ, მწარე ღიმილით, თავჩაქინდრული, თავის ბინისკენ მიეშურება... აგერ... მაგრამ რაც ვსთქვი, ისიც კმარა, თორემ „ივერიის“ მთელი ფურცელიც არ გვეყოფა იმ მრავალ, გულის შემზარავ, სურათების აღსაწერად, რომელიც ჩხარში თითქმის ყოველ დღე ხდება. მაგრამ ყველაფერზედ უფრო სავალალო ის არის, რომ ბაზარი მუდამ ავსებულია ურიცხვის ბავშვებით, რომელნიც ჰხედავენ უფროსების უმგზავს საქციელს და თითონაც ადვილად ითვისებენ ყოველგვარს უზნეობას. კაცს გული უკვდება, როცა ოთხი-ხუთის წლის ბავშვისაგან ბილწი სიტყვები ესმის; როცა ხედავს, რომ ერთი ბალღი მეორეს ქვით ანუ კეტით დასდევნებია და ყურის მგდებელი-კი არსად ჰყავს არც ერთს.

რაარის მიზეზი ჩხარელ ვაჭრების უზნეობისა? ეჭვს გარეშეა, რომ ამის მიზეზი, უმთავრესად, ვაჭრებისავე უსაქმობა გახლავთ. ვაჭრობაში ესენი მხოლოდ პარასკეობით არიან ხოლმე გართულნი, როცა აქ ბაზრობა იმართება; დანარჩენს დროს-კი (გარდა მჭედლებისა, ხარაზებისა და მკერვალებისა) ხშირად თითქმის სულ მოცლილნი არიან: არაფერს აკეთებენ და მუშტარი დღეში ხშირად ერთი-ორიც არ მიუვათ დუქანში. რისი ბრალია, თუ არ მოცლილობისა, შემდეგი გარემოება. დაინახავენ თუ არა აქური მედუქნეები ბაზარში გავლილს ძაღლს, არიქა „ბრაზიანი“ ძაღლიო, შესძახებენ და გამოუდგებიან უკან კეტებით, თოფებითა და საშინელის კივილით. (ეს მამაცხონებულები ნეტა ასე გულმოდგინედ ლოცვებს სდევნიდნენ, რომელთაგანაც ბაზარი ხშირად სავსეა და ხანდახან დუქანშიაც შებრძანდებიან ხოლმე!). ამ ბოლოს დროს ერთი ძაღლი, მართლაც, ბრაზიანი (ცოფიანი) გამოდგა, დაჰკბინა ბევრი სხვა ძაღლებიც, დაუდგათ დარი ვაჭრებს და დაიწყეს ძაღლებზედ ნადირობა, არ გაბრაზიანდნენ და უბედურება არა მოახდინონ-რაო. ძაღლები თითქმის სულ ამოჟლიტეს, ასე რომ ეხლა კაცს თამამად შეუძლიან ჩხარში უჯოხოდ გავლა. დახოცილი ძაღლები დაუდევნელმა ყმაწვილებმა, მიწაში ჩაფლვის ნაცვლად, დაბის გარეთ შარა გზაზედ დაჰყარეს და, თქვენი მტერია, ძაღლების მძორის სუნი გაუჩენელ ჭირს გააჩენდა, ადგილობრივის ბოქაულის ბრძანებით რომ მიწაში არ ჩაეყარათ.

გარდა ამისა, ამ უკანასკნელს კვირაში აი რამდენი საყურადღებო ამბავი მოხდა ჩვენს პატარა დაბაში. 16 ივნისს ოთხიოდე ყმაწვილმა დუქანში ერთად ქეიფის დროს ერთმანეთს უწყალოდ სცემეს და თავ-პირში სისხლი ადინეს. 17 ივნისს ერთმა ყმაწვილმა მეორეს რევოლვერი ესროლა, მაგრამ რაღაცა ბედმა ტყვია მიზანს ააცილებინა. 18 ივნისს ერთი ყმაწვილი ახლად მოსულს „კამედიაჩიკის“ სახლში შეუხტა, აივნიდგან „არღანი“ გადაუგდო და დაუმსხვრია. 19 ივნისს რამდენმამე ბაზრის ბიჭმა კიდევ სცემეს ერთმანეთს. დღევანდელი დღე, 20 ივნისი ჯერ მშვიდობიანად მიდის (ამ სიტყვების წერის დროს საღამოს 4 საათია).

აქეთ ამინდებს ვერ დავემდურებით ჯერ, რადგანაც თავის დროზედ სწვიმს, თავის დროზედ დარი გვიდგას. ამის გამო მოსავალი ჯერ-ჯერობით იმედს გვიღვიძებს: სიმინდი ლურჯად ბიბინებს, თუმცა თაველი ჯერ არ უყრია; პური უკვე ჩაყვითლდა და ცოტა ხნის შემდეგ მკას შევუდგებით. ვენახებიც გვარიანს მდგომარეობაშია, განსაკუთრებით თეთრის

---

მიაქციე ყურადღება, თუ ავადმყოფს საით უდევს თავი. მე დამინახავ და, თუ თან ცელი არა მექნება სნეული განიკურნება. მაგრამ... თუ... ვინცობაა სიბნელეში ჩემმა ცელმა გაიელვარა, ყველაფერი გათავებულია!.. მაშინ მღვდელ-ღაა საჭირო.

თქმა დ აღსრულება ერთი იყო. სიკვდილი გამოემშვიდობა. ივანემ შავი წამოსასხამი და ქუდი იყიდა და ექიმობა დაიწყო. იგი გამბედავი იყო და, ეს-კი ყველამ უწყის, რომ გამბედაობა და გამარჯვება და-ძმანი არიან! ივანემ სახელი გაითქვა, ყველა მას იწვევდა ავადმყოფის საექიმოდ. ისიც მაჯას უსინჯავდა და, ახსოვდა რა სიკვდილის დარიგება, არას დროს მარცხი არ მოსვლია, არ შემცდარა. როდესაც ივანე იტყოდა: „არაფერია, მორჩებაო“, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ავადმყოფი იცოცხლებდა. იმისი ქება და დიდება ყოველ წამს ჰმატულობდა. ოქრო-ვერცხლი შეუწყვეტელ წყაროდ სდიოდა ივანესკენ, ასე რომ საშინლად გამდიდრდა.

იმისი შვილიც იზრდებოდა და თან-და-თან სილამაზე-სიმშვენიერე ემატებოდა, სამაგიეროდ ივანე-კი დაბერდა და ჭაღარა შეერია. ხან-დახან სიკვდილი, როცა იმ მხარეს ჰქონდა საქმე, თავის ნათლულის და ნათლიმამის სანახავად დაიოდა და ისინი-კი ეხლა შესანიშნავს ციხე-დარბაზში სცხოვრებდნენ. ამისთანა დღეებში სადილს თითო თავი საქმელი ემატებოდა და არა ერთი ძველი ღვინით სავსე ქვევრი ახდილა ივანეს მარანში.

სიკვდილი უალერსებდა ნათლულს და თან ივანეს კოლოფიდგან ბურნუთსა სწევდა.

— ერთხელ სიკვდილმა უთხრა ჩვენ ექიმს:

— მე, ჩემო სვინავ, ხშირად გესტუმრები ხოლმე და შენ-კი ერთხელაც არა მწვევიხარ.

— კიდევ მოვასწრობ, უპასუხა ძალდატანებულის სიცილით ივანემ. შენთან მოსვლა, ძამიავ, საშიშია, იქნება აღარც-კი გამომიშვა.

— არა... შენგან არ მიკვირს?! მე ვადაზედ ადრე არავინ მიმყავს. ხომ იცი ჩემი სამართლიანობა? ნუ გეშინიან... მოდი როდისმე ჩემთან ვახშმად.

გაიარა რამდენმამე ხანმა. ივანემ, დასასრულს, როგორც იყო გადასწყვიტა ნათლიასთან წასვლა, ერთხელ იგი სიკვდილს ტყეში დაეწია და თან გაჰყვა. ისინი დაბურულს ტყეზედ მიდიოდნენ, გაიარეს მთა, მერე ხეობა და მიადგნენ ერთს უდაბნო ადგილს, რომელზედაც გულჩაღვრემილ აჩრდილსავით ციხე-კოშკი წამოჭიმულიყო; კოშკის შავს კედლებს ფათალოს გრეხილი გარს შემოჰხვეოდა და იმ მიდამოს სიჩუმეს ერთიანად ამდუმარებდა.

— აჰა, ესეც ჩემი სახლი, სთქვა სიკვდილმა, კარები გააღო და წინ ნათლიმამა შეუშვა.

— დროც არის, ნათლი! დაიკვნესა ივანემ. ისე დავიღალე, რომ ფეხები აღარ მერჩის!..

სიკვდილი ძალიან გაუმასპინძლდა ნათლიმამას, კარგი ვახშამი აჭამა ცეცხლის-მფრქვეველი ღვინო დაალევინა. როცა ჭამა-სმა გაათავეს, სიკვდილმა ივანე ერთს დიდს დარბაზში შეიყვანა და ორივენი გაღებულ ფანჯარასთან გაჩერდნენ. ამ ფანჯარიდგან ერთი უშველებელი ადგილი მოსჩანდა, რომელიც მთლად სანთლებით იყო გაჩაღებული.

დაღამდა. სიბნელეში ის ურიცხვი სანთლები უცნაურად ეგზნებოდა, ოდნავ ირთოდნენ და იდუმალის ბრწყინვალებით არღვევდნენ ღამის წყვდიადს. სანთლები ერთის სიდიდისა არ იყო, ზოგი მოკლე იყო, ზოგიც საშუალო სიგრძისა. აგრეთვე მათი ელვარებაც განირჩეოდა. ერთი ძლივსღა ჰბჟუტავდა, თითქმის გასაქრობად მიწურულიყო, მეორე ნელად ანათებდა და მესამე-კი იმ ელვარებითა და ბრწყინვალებითა კაშკაშებდა, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა.

ამ სურათმა ივანეს თავსზარი დასცა.

ღვთის მშობელო! დაიძახა გაკვირვებით ივანემ, მერე რამდენსამე ხანს სდუმდა და ბოლოს დიასახლისს შეეკითხა:

— რას ჰნიშნავს ეს სანთლები?

— სიცოცხლის მანათობლები არიან, უთხრა სიკვდილმა.

— სიცოცხლის მანათობლები?! არ მესმის, ვერ გამიგია.

— ეხლავ გაგაგებინებ. ყველას, ვინც-კი დედამიწაზედ სცხოვრებს, აი აქ თავისი მანათობელი ჰყავს.

— ეჰე! ესეც ახალი ამბავი! წაიდუდუნა ივანემ.

— მერე და ერთმანეთს რაღად განესხვავებიან? ზოგი დიდია, ზოგი პატარა, ერთი ჰბრწყინავს, მეორე-კი ძლივსღა ჰბჟუტავს.

— იმიტომ, რომ ცხოვრებაშიაც ასეა. ერთი იზრდება, მეორე უკვე ძალღონით არის სავსე, მესამე-კი ჰქრება. ყოველ დღე იბადებიან და ყოველ-დღე იხოცებიან.

— ჰაი, პა...პა პაპა! დაგელოცოს, ღმერთო, სამართალი! წაილუღლუღა ივანემ, რომელსაც ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. აგერ, აიქ რა მშვენიერი სანთელია!

— ეგ მანათობელი ახლად დაბადებულისაა.

— ესა? რა ნაირად ჰბრწყინავს.

— ეგ-კი ოცი წლის ჭაბუკს ეკუთვნის.

— ნათლი, ერთი მითხარი გეთაყვანე, ჩემი სანთელი სადღაა? ჰკითხა ივანემ სიკვდილს კისრის მოხვევით.

— აი, აქვე, შენს პირდაპირ.

— რას ამბობ?!. არა მჯერა, დაიძახა ფერ-წასულმა ივანემ. მერე-და ადამიანო, მაგას პატრუქი მთლად ამოსწვია.

— დიაღ, ჩემო საწყალო ნათლიმამავ, სამის დღის სიცოცხლე-ღა დაგრჩენია!

— როგორ!? ეგ რა სთქვი? სამის დღისა-ღა?! ნათლიავ, შენი ჭირიმე, ყური მომიგდე, მიშველე რამე! მე და შენ ხომ მეგობრები ვართ, ჩვენ შორის მირონი ტრიალებს! ნუ თუ არ შეიძლება ამ საქმის გასწორება?! შენ ხომ აქ მბრძანებელი ხარ, განადიდე ცოტად მაინც ჩემი სანთელი!.. აგერ აიმ დიდ სანთელს მოაკელი პატარა პატრუქი და ჩემსას მიუმატე! ევედრებოდა საბრალო ივანე სიკვდილს.

— არ შეიძლება. ეგ სანთელი სწორედ შენის შვილისაა. უსამართლობა იქნება, შენი თხოვნა რომ აღვასრულო. ხომ იცი, მე სამართალს ვერ გადავცდები!

— მართალია,—ამოიოხრა ივანემ და თავი ჩაჰკიდა.

— მე მარტო იმითი შემიძლიან დაგეხმარო, რომ უფრო ძლიერ დაგაბერებ, რათა სიკვდილი გაგიადვილდეს.

მართლაც, როდესაც „უბედო“ ივანე შინ დაბრუნდა, ისე იყო დაბერებული და მიხრწნილი, რომ კიბის საფეხურზედ ისე დაეცა, როგორც ფერფლის ანიავებული გროვა, და სული განუტევა სწორედ იმ დროს როცა სამართლიან ნათლიის ციხე-დარბაზში იმისი სანთელი ჰქრებოდა.

ილ. ელეფთერიძე

ყურძნის ვაზებს ბევრი ასხია მტევანი.

სევ. ჯუღელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Московскій Вѣдомости“-ს თვისება და ხასიათი ყველამ იცის და ამიტომ ამის შესახებ არაფერს ვიტყვით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კარნოს მოკვლის შესახებ დაწერილს წერილებში ამ გაზეთმა ბევრი სისულელე მოსჩმახა, ათასი ბრალი დასდო „ცივილიზაციასა“, „პროგრესსა“, „მწერლობის თავისუფლებას“ და სხ. ეს გაზეთი ურჩევს დასავლეთს ევროპას „გონებაზედ მოდი“, უკუ აგდე „დაუსჯელობა“ თავ-აღებულის ჟურნალ-გაზეთობისა, აღიარე პროგრესსი აწინდელის საზოგადოების დამამხობელადა და გამათახსირებლადაო.

პროგრესსის სახელითაო, ჰღაღადებს გაზეთი, ჩვენშიაც, ჩვენს ცხოვრებაშიაც უნდოდათ ისეთის ლიბერალ კანონ-პროექტების განხორციელება შრომის გაწესრიგებისა შესახებ, რომელთაც შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ ჩვენთ მუშათა შორის მღელვარება და ამბოხება დაიბუდებდაო.

აი „Москов. Вѣд.“-ის ამ სიტყვების შესახებ რასა სწერს რუსეთის საუკეთესო გაზეთი—„Русскія Вѣдомости“:

ეს რახა-რუხი სიტყვებისა, რომლითაც გაზეთი თავს უბრუებს თავისს მკითხველებს, ამტკიცებს სრულს უვიცობას ამა გაზეთისას. როგორც ყველამ უწყის, „კანონ-პროექტებს შრომის განწეს-რიგების შესახებ“ მარტო ლიბერალები არა სწერდნენ და მარტო ისინი არ იყვნენ მოწადინებულნი იმის განხორციელებას. ესეც არ იყოს, „ანარხია“ აქ რა შუაშია, ის „ანარხია“, რომელსაც „Москов. Вѣдом.“-ი უთანაბრებს არა მარტო „პროგრესსა“, „ნაბეჭდ სიტყვის თავისუფლებას“, არამედ იმ სურვილსაც, რომ კანონ-მდებლობითის შემწეობით განკარგდეს მუშათა მდგომარეობა? ვინ არ იცის, რომ ანარხიზმი სრულიად და სავსებით უარ-ჰყოფს იმას, რომ მთავრობა მუშათა ურთიერთობაში ჩაერიოს და არ უნდა წესიერება ჩამოაგდოს საეკონომიო ურთიერთობაში. ანარხია იმიტომ უარ-ჰყოფს უფლებას, რომ, ანარხისტების აზრით, იგი არავითარის მხრივ, არაფრით არ მოუტანს სიკეთეს ერსაო: ყოველი საკეთილო განზრახვა და სურვილი მთავრობისა იმად არის მიქცეული, რომ უფრო განაკარგოს იმ უმცირესობის მდგომარეობა, რომელიც ეხლაც კეთილდღეობაშიაო. აქედგან მარტო ამ აშკარა და ნათელ აზრის დასკვნა შეიძლება: ანარხიზმთან ერთი საბრძოლველ იარაღთაგანი ის არის, რომ უარ-ყოფილ იქმნას ძირეული საფუძველი და დედა-აზრი ანარხიისა და დამტკიცდეს, რომ მთავრობას, უფლებას შეუძლიან ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. მაგრამ „Москов. Вѣд.“-ს რა ესაქმება ფაქტსა და ლოგიკასთან, როდესაც შემთხვევა ეძლევა მფარველობა დაუწყოს წვრილმანს ინტერესს, რომელსაც უიმისოდაც არა სჭირია მფარველობა და რომლის დაცვასა და მფარველობასაც ალევს თავისს ძალასა და ღონეს „Москов. Вѣдомости“.

## გამოსადეგი ცნობა

ვაშლის მატლი (Hyponomeuta malinella) და მასთან ბრძოლა. ამ მატლის პეპლა, რომელიც გამრავლდა ჩვენს ბაღებში, ჩნდება ივნისის დამდეგს. პეპლას წინა ფრთების ზემო მხარე თეთრი აქვს და ამ თეთრზედ სამ რიგად შავი ან მუქი წერტილები აყრია, ქვემო მხარე წინა ფრთებისა და უკანა ფრთები ფერფლის ფერი აქვს. თავი, ულვაშები, მუცელი და ფეხები—თეთრი. სიგრძე პეპლასა აქვს $^1/_6$ გოჯისა, ხოლო როცა ფრთები გაშლილი აქვს, თითქმის $^1/_2$ გოჯი. პეპლა ვაშლის ტოტებზედა სდებს კვერცხსა, უფრო-კი მსხმოიარე ყლორტებზედ ერთბაშად 50-მდე. ოთხის კვირის შემდეგ ამ კვერცხებიდგან გამოიჩიკებიან მატლები, რომლებიც ამავე ადგილს რჩებიან გაზაფხულამდე. გაზაფხულის დამდეგს, როდესაც კვირტს გამოიღებს ხეხილი, მატლები გამოდიან ბუდიდგან კვირტზედ და შეუჯდებიან ახლად გამოღებულ ფოთოლს, რომელიც ამის გამო შავდება; მანამ პეპლა ფოთოლში სცხოვრობს იმ ფოთლით იკვებება. რამდენი ამე ხნის შემდე მატლი გარეთ გამოდის, მაგრამ მაინც ფოთოლსა სჭამს, ასე რომ მხოლოდ ფოთლის მარღვებსღა სტოვებს, ამ მარღვებზედ ქსელს აბამს და ამ რიგად ბუდეს იკეთებს. ამ დროს მატლს ჭუჭყიანი ყვითელი ფერი აქვს, ზურგი შავ-მოწითალო, ამავე ფერის, მხოლოდ უფრო მუქი, თავი, გულთან ფეხები, და ორ რიგად პატარა წერტილები აყრია ზურგის ორსავე მხარეს. სიგრძე დიდის მატლისა თითქმის $^1/_2$ გოჯია. რაკი მატლი წამოიზრდება, პარკს აკეთებს.

რადგან ეს მატლი დიდს ზარალს აძლევს ვაშლს, ამიტომ საჭიროა უეჭველად იმასთან ბრძოლა და ყოველის საშუალების ხმარება იმას გასაწყობად, რაც-კი ენტომოლოგებისაგან არის გამოკვლეული. რაკი გაზაფხული დადგება ყოველთვის უნდა ისინჯებოდეს კვირტები და ფოთლები და რომელი ფოთოლიც გაშავებული იქნება, ან მოშაო ფერისა, მაშინვე უნდა მოჰგლიჯოთ, რადგან ამისთანა ფოთოლში უეჭველად მატლი იქნება ჩამჯდარი. რომელი ხეც მატლისაგან დაზარალებულია, უეჭველად უნდა ასხუროთ ხოლმე ერთად არეული საპნის წყალი და გამოხარშულ წეკოს წვენი; კარგია ამას დაუმატოდ 1% ნავთი. მაისის ნახევარს, ვიდრე პეპლა გამოვიდოდეს, უნდა ათვალიეროთ, მისი ბუდეები მოაგროვოთ და დასწვათ. თუ მაღალის ხიდგან არის ჩამოსაღები ეს ბუდეები, მაშინ კარგია ორთითივით გაკეთებული გრძელი ჯოხი, რომლითაც უფრო ადვილად ჩამოიღება. რასაკვირველია, ამ საქმისათვის პატრონის მხრივ დიდი მოთმინება საჭირო, მაგრამ უზრუნველად და მოთმინების უქონლად არა საოჯახო საქმე არ გაკეთდება და მეტადრე საბაღოსნო საქმე.

## წერილი რედაქციის მიმართ

მივიღე მღვდლის ს. თოთიბაძისა და მასწავლებლის მ. შარაშიძისაგან და გადავეცი კუთვნილებისამებრ 54 მ. 50 კ. მოგროვილი ქალაქ ბათუმში, სასარგებლოდ ბათუმის ქართულის სკოლის მასწავლებლად ნამყოფის კონსტანტინე ბერძენიშვილისა, რომელიც რუსეთში მიდის სამკურნლო ცოდნის შესაძენად. გულითადს მადლობას ვსწირავთ დამხმარებელთ, რომლების სია ქვევე მოგვყავს.

სამ-სამი მანეთი შემოსწირეს:

ი. ლომინაძემ, ე. ბერძენიშვილმა, უ. ბერძენიშვილმა, ს. თოთიბაძემ, მ. შარაშიძემ.

ორ-ორი მანეთი

ს. საბაშვილმა, დიასამიძემ, ნ. ბახტაძემ, ი. ჩარექოვმა, თ. ჯაყელმა, ა. გუგუშვილმა

თითო მანეთი

მ. გოგინოვმა, ნ. საბაევმა, დ. კლდიაშვილმა, კასიანმა, რ. მაჭავარიანმა, ი. ცეცხლაძემ, ა. მეხუზლამ, სტუდენ. ნ. მამინაშვილმა, მ. ბარკალაიამ, ფ. ბებენავამ, გ. ყოყიკაშვილმა, ანდრონიკაშვილმა, მ. ნიკოლაძემ, ნ. გავაზავამ, ს. ქუთათელაძემ, ზ. დეკანოზიშვილმა, თ. გ. ფაღავამ, დ. ქუთათელაძემ, ე. კოღურაძემ, გ. ხუნდაძემ, გ. ელიავამ, ს. ქიქოძისამ, კ. მაჭავარიანმა, დუმბაძემ, ლ. მჭედლიშვილმა, ე. გედევანოვმა, ზ. მეფისაშვილმა.

ათი შაურიც

გერასიმე მჭეიშვილმა.

ი. წინამძღვრიშვილი

## შემოწირულებანი

წარსულ კვირას თავ. ნიკო თავდგირიძემ გამოგვიგზავნა ოდესიდგან რუსთველის ძეგლის ასაგებად შეგროვილი ხუთი თუმანი. ეხლა გრ. სოლოღაშვილისაგან კიდევ მივიღეთ იმ ფულის დანარჩენი ნაწილი 6 მან. და 35 კაპ. ამ ფონდისა გვქონდა 1027 მ. 92 კაპ., ამითი შესდგა 1034 მან. 27 კაპ. აქვე ვაცხადებთ შემომწირველთა სიას:

5 მანათი შემოსწირეს: პ. მელიქოვმა, ვ. პეტრიაშვილმა, გ. გოგუაძემ; 3 მან.: გაბაშვილმა, ს. კითილაძემ; 2 მან.: ს. ნიქობაძემ, გ. გაბაშვილმა, ნ. თავდგირიძემ; 1 მ.: კონსიოტის ქალმა, დ. ღულაძემ, კ. გიგინეიშვილმა, ი. ქერქაძემ, ს. ბახტაძემ, გ. ილაშვილმა, ა. ჯიმშეროვმა, ი. დოლიძემ, ა. მესხმა, ა. კოსტავამ, დ. ლოლუამ, ს. წითლაძემ, გ. დიდმელაშვილმა, ლ. ჩჩაიძემ, პ. გვასალიამ, მ. ჩარგეიშვილმა, კ. გეთიამ, ი. რჩეულოვმა, ე. ლორიამ, მ. გაგუამ, ყ. ჩაჩიბაიამ, ა. კაციტაძემ, დ. მდივანმა, ა. დეკანოზიშვილმა, გ. სოლოღაშვილმა; 60 კაპ. მ. არაზოვმა; 55 კაპ. ა. წივწივაძემ; 50 კ.: კ. ელიაძემ, ი. ნოდარაშვილმა, დ. სოსიაშვილმა; 40 კაპ. ვ. კეთილაძემ; 30 კაპ.: ა. ბასილაშვილმა, ს. ჰავქანიძემ; 20 კაპ.: გ. ცვერინოვმა; 10 კაპ.: გ. მირიანოვმა, გ. დონდაროვმა, ს. მხითაროვმა, პ. ფარცხალაძემ, ტ. ფუტკარაძემ.

გრ. სოლოღაშვილი

ქ. კიშინიოვი.

## დეპეშა

24 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს-ძე და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის-ძე წაბრძანდნენ დღეს ფინლანდიის კუნძულებიან და კლოდოვან სანაპიროებისაკენ.

ოქტომბრისთვის აპირობენ მოუწოდონ საერო დაწესებულებათა წარმომადგენელი კრებას საერო გარდასახადთათვის წესდების შესამუშავებლად.

**პარიჟი.** პელეტანმა მოითხოვა შეწყალება იმათთვის, ვინც მსჯავრდადებულ იქმნა მუშათა გაფიცვის დროს დანაშაულის გამო; აგრედვე იმათთვის, ვინც რაიმე დანაშაული მოიქმედა წერით ჟურნალ-გაზეთებში. ამასთანავე პელეტანმა დასძინა; საჭიროა პალატამ აღიაროს, რომ ამ საქმის გადიდება შეუძლებელიაო. პალატამ უარ-ჰყო, ეს სარჩიელი, მაგას ვერ ვიტყვით, რომ გადადება შეუძლებელი იყოს მაგ საქმისაო. ამაზედ უმწვერვალეს მემარცხენთმა დასმა პროტესტი გამოაცხადა. ვალიანი შეეკითხა მთავრობას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულ იქმნა რათა დაებრკოლებინათ მანიფესტაცია კომმუნარების საფლავებზედ „Pér Lachaise“-ს სასაფლაოზედ. შეეკითხა და დაწვრილებითაც დაასაბუთა თავისი აზრი. დიუპუიმ დაიწყო გამართლება მთავრობისა, სწორედ საჭირო იყო მაგ ღონის ძიებათა მიღებაო და დასძინა: „ვერ მოვითმენთ, რომ კომუნას აქებ-ადიდებდნენ; მარტო ოდენ გახსენება მაგ კომუნისა ჰკრივითა სძულს ჩვენს ქვეყანას და შიშსა და ძრწოლაში აგდებს“ (ისმის ტაშის-კვრა). ვალიანი ამბობს, შეუდგეთ მორიგ საქმეთა განხილვას ასეთის აზრის წინ-წამძღვარებით: მთავრობა ნებას იძლევა, რომ პატივსცენ 1871 წელს გადაცვლილთაო. ეს წინადადებაც ვალიანისა უარყოფილ იქმნა 470 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 65 ხმისა.


## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ 6 ივლისს, 1894 წ., მოხდება ბანკის სადგურში, ფრეილინის ქუჩაზე მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ქვემოხსენებულის მამულებისა, რომელნიც დარჩნენ გაუსყიდავი 20 და 21 ივნისს 1894 წ. მომხდარ ვაჭრობის დროს.

### ქალაქის მამულები:

სოლომონოვი გალარშაკ არტემას ძე, 6 ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 9 ერთსართულიანი ქვითკირის ფლიგელი სარდაფით და ყოველ გვარი მოწყობილობით, მიწა ზომით სიგრძით 66 და სიგანით $16^1/_2$ საჟენი, ქ. ალექსანდრეპოლში. თავნი ვალი 12932 მან. 60 კაპ., შემოსატანი გარდასახადი 955 მან. 15 კ., სულ 13,887 მ. 75 კ.

ედიგაროვები, სალომე გიორგის ასული, ნიკოლოოზ, ვასილ და კონსტანტინე სოლომონის ძენი: ორ სართულიანი ქვითქკირის სახლი მეზონინით და სარდაფითა და ორ სართულიანი ფლიგელი სარდაფითვე, მიწა ზომით 41 ოთხ კუთხი საჟენი, მე 5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, პატარა პოლიციის ქუჩაში. თავნი ვალი 1623 მან. 25 კ., შემოსატანი გარდასახადი 108 მ. 10 კ. და სულ 1731 მან. 35 კაპ.

მესხი, ეკატერინე გრიგოლის ასული: საბოსტნე და საწყობი ალაგი და ორი ქარხანა აგურისა, მიწა ზომით 4 დესეტ. 2260 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქალ. ტფილისში, კახეთის გზაზედ. თავნი ვალი 4241 მ. 38 კაპ. შემოსატანი გარდასახადი 420 მ. 88 კაპ. და სულ 4662 მ. 26 კაპ.

### სოფლის მამულები:

მათევოსიანცი მოსეს ოვაკიმეს ძე, ნოვასარტიანც შაქარ მირზას ძე, დულიანცი ოვანეს არუთინას ძე და ტერმიქელოვი ასლან გაბრიელის ძე (წინად კუთვნილი თავ. კონსტ. ივანეს ძის ბაგრატიონ მუხრანსკისა). სახნავსათესი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები და ტყე, მიწა ზომით 493 დეს. 2,092 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრაში ს. სარაჩლოში. თავნი ვალი 13,307 მ. 60 კ., შემოსატ. გარდ. 1186 მან. 20 კ. და სულ 14493 მან. 80 კაპ.

ბებუროვ ვარნახე ალექსანდრე ივანეს ძე. ბაღი, მიწა ზომით 2088 ოთხკუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, კარდანახში, თავნი ვალი 270 მ. შემოს. გარდასახადი 14 მან. 17 კ. და სულ 284 მ. 17 კაპ.

ამილახვარი გრიგოლ გიორგის ძე. სახნავი ადგილი, მიწა ზომით 115 დესეტ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში ს. აკახანში და ჰალიში, თავნი ვალი 2210 მან. 20 კ. შემოს. გარდასახადი 317 მ. 70 კ. და სულ 2527 მ. 90 კ.

გოგიჩაშვილი ალექსი გიორგის ძე, სახნავი ადგილები, მიწა ზომით 6 დესეტ. 1200 ოთხკუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში, ს. ერედვში, თავნი ვალი 397 მ. 37 კ., შემოს. გარდასახადი 34 მან. 52 კ. სულ 431 მან. 89 კაპ.

მადალოვისა მარიამ დიმიტრისასული, სახნავ-სათესი, საბაღე და სამინდვრე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 780 დეს. 110 ოთხკუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრაში სოფ. ახტალაში, თავნი ვალი 10067 მ., შემოს. გარდ. 1259 მან. 72 კ. და სულ 11326 მან. 72 კაპ.

ჩოლოყაშვილები: რევაზ ალექსანდრეს ძე, ბიძინა ოთარის ძე და ელისაბედ დავითის ასული, სახნავსათესი ადგილი, და ტყე, მიწა ზომით 720 დესეტ ტფილისის გუბერნიაში თიანეთის მაზრაში ს. ახმეტაში. თავნი ვალი 7969 მ. 24 კ. შემოსატ. გარდასახადი 256 მ. 10 კაპ. და სულ 8225 მან. 34 კაპ.

(1—1)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი,**—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურზოვიჩი.** $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.